

საქართველოს კანონი

“საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში” შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”მუხლი 48. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება, განაწილვალება და მათი ოდენობის შემცირება

1. სასამართლო ვალდებულია მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს ან გაუნაწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ხარჯების ოდენობა.

2. სასამართლო ხარჯების გადადების ან განაწილვადების მოთხოვნის შემთხვევაში, პროცესის მონაწილე მხარე ვალდებულია საქმის განმხილველ სასამართლოს მიმართოს წერილობითი ფორმით.

ა) განცხადება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას მისი ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების შესახებ. განცხადებას უნდა ერთოდეს უმუშევრობის ან ყოველთვიური შემოსავლების განმსაზღვრელი საბუთი.

ბ) ყოველთვიური გადასახადი გამოითვლება მხარის შემოსავლის გათვალისწინებით, რომელიც მას გააჩნია სასამართლოში საქმის აღძვრის მომენტისათვის მის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური შემოსავლების განმსაზღვრელი საბუთის მიხედვით.

გ) სასამართლო ხარჯების გადახდის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 თვეს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლს გამოაქვს განჩინება სასამართლო ხარჯების გადადების ან განაწილვადების შესახებ.

4. სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს განჩინება სასამართლო ხარჯების გადადების ან განაწილვადების შესახებ, თუ მხარე განზრახ არაიწორად წარადგენს მონაცემებს მისი ქონებრივი მდგომარეობისა და ყოველთვიური შემოსავლების შესახებ.

2. დაემატოს 56-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

მუხლი 56. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადების ან განაწილვადებით გადახდის გამო გამოტანილ განჩინებათა გასაჩივრება

სასამართლო ხარჯების გამო გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.